ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

დანართი 30 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჩუღურეთის მაჟორიტარი დეპუტატი /რ. ბერაძე/

31

საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის რიმა ბერაძის

2015 წლის ანგარიში

ძვირფასო ამომრჩევლებო, თანამოქალაქენო, მაქვს პატივი, თქვენს წინაშე წარვსდგე ანგარიშით, როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე. დღეს ასევე ჩემთან ერთად ანგარიშით წარსდგებიან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული სიით გასული წევრები.

საქართველოს ორგანული კანონის, თვითმმართველობის შესახებ 88-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ა/წ 1 ნოემბრამდე ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს. ეს ფორმა დემოკრატიის უცილობელი ატრიბუტია, რომელიც უზრუნველყოფს დეპუტატის ანგარიშგებას მანდატის მიმნიჭებელთან.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში კანონმა ფორმალურიდან - კონკრეტული სახე მიიღო. მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული ანგარიშის გამოქვეყნება და გახადონ ის საჯარო და ხელმისაწვდომი.

მინდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის ჩემი, როგორც დეპუტატის - პირველი ანგარიში. მსგავსი ანგარიშით 6 თვის თავზე სწორედ ამ დარბაზში მე უკვე წარვსდექი ჩემი ამომრჩევლის წინაშე. (სმ.2-6)

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩუღურეთი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მქონე რაიონს მიეკუთვნება. სულ რაიონში 100 000 მაცხოვრებელი და 59 000 ამომრჩეველია. რაიონში ტრადიციულად ვიხსენიებთ 5 უბანს: ოქროს უბანი, პლეხანოვი, ვორონცოვი, სვანეთის უბანი, კუკია. რაც შეეხება მოსახლეობას, ადგილობრივების გარდა აქ ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები: ქურთები, სომხები, აზერბაიჯანელები, იეზიდები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები და ამითაც არის ეს რაიონი ასეთი მომზიდველი.

ჩუღურეთის ზედა ნაწილი ტერასულია. აქ მრავლადაა დანგრევის პირას მისული სახლები, რომლის შეკეთებაზეც წინა ხელისუფლების პერიოდში 81 მლნ ლარი დაიხარჯა ბიუჯეტიდან, თუმცა პრობლემა მოსაგვერბლად ისევ ჩვენ დაგვრჩა. პასუხი კი ამ საკითხზე თქვენთვის მომინდვია...

ვიდრე გაგაცნობდეთ ანგარიშს ჩვენი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ, მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელშიც პირადად მე, როგორც დეპუტატს და ასევე მთელ ჩემს გუნდს მოუწია საქმიანობის დაწყება.

რაიონში ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, ზოგ პრიორიტეტში თითქმის ამოწურული იყო თანხები, ზოგში კი ფაქტობრივად არ იყო არანაირი ათვისება. ჩვენის აზრით ეს ემსახურებოდა საარჩევნო პერიოდს და თანხები წინა ხელისუფლების მიერ ათვისებული იყო არა მიზანშეწონილობით, არამედ საარჩევნო გარემოზე ზემოქმედების კუთხით. დედაქალაქის, მძიმე მდგომარეობა ინფრასტრუქტურული კუთხით, მოძველებული მიწისქვეშა კომუნიკაციები, ავარიული

შენობები, მიტოვებული მშენებლობები (გაუგებარი საამშენებლო ნებართვები), დახურული საბავშვო ბაღები, უნებართვო სტიქიური ნაგავსაყრელები, სოციალურად მძიმე ფონი და მრავალი სხვა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია დედაქალაქის ისტორიულ უბნებში, განსაკუთრებით კი ისეთში როგორიც ჩუღურეთია.

მიუხედავად გაპიარებული პროექტებისა, დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში შესრულებული სამუშაოები უმეტესწილად ფრაგმენტული იყო, ამის მაგალითია აღმაშენებლის გამზირის ფასადური რეაბილიტაცია თაბაშირ-მუყაოს დეტალების ფართო გამოყენებით, ამ ყველაფერს კი სარეკლამო დანიშნულების ხასითი ჰქონდა.

ამდენად ჩვენს გუნდს საქმიანობა უწევს სხვადასხვა მიმართულებებით:

დღევანდელი გადაუდებლად განსახორციელებელი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს შეჭირვებული მოსახლეობის ფიზიკურ გადარჩენას, ასევე იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაცია-კონსერვაცია, რაც ჩაურევლობის შემთხვევაში გამოიწვევს სერიოზულ ზიანს დედაქალაქში.

ჩვენმა გუნდმა დაიწყო გეგმიურ, სტრატეგიულ საკითხებზე მუშაობა, რომელიც შეამცირებს და მინიმუმამდე დაიყვანს ფორსმაჟორულ სიტუაციებს, ასევე შესაბამისობაში იქნება გენ - გეგმასთან, რომლის შემუშავებაც ამჟამად მიმდინარეობს.

ჩემი ანგარიშიც წარიმართება ამ კუთხით, პირველ რიგში წარმოგიდგენთ ჩვენი საქმიანობის იმ ნაწილს, რომელიც ეხება მოსახლეობისა და დედაქალაქის დღევანდელ გადაუდებელ პრობლემებს. ხოლო შემდეგ, გაგაცნობთ ჩემი და ჩემი გუნდის საქმიანობას, რომელიც ეხება დედაქალაქის სტრატეგიულ განვითარებას, იმისთვის, რომ ის გახდეს თანამედროვე ევროპული ქალაქი.

მე, როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, ჯანდაცვისა და საბიუჯეტო კომისიის წევრი, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველ მონაცემებს და შევეცდები პასუხი გავცე თქვენს მიერ დასმულ ყველა შეკითხვას.

თქვენის ნებართვით გადავალ უშუალოდ ჩემი ანგარიშის განხილვაზე:

- 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის ოქტომბრამდე რაიონის მაცხოვრებლებთან შედგა - 40 შეხვედრა სხვადასხვა ქუჩებზე. (სლაიდ 7)
- დეპუტატის ბიუროში მიღებული იქნა 5 000 მოქალაქეზე მეტი. (სლაიდ 8)
- საკრებულოში მიღებული იქნა 570 მოქალაქე. ხოლო შემოსული წერილების რაოდენობაა -774. ჩვენი უპირველესი ამოცანა და მიზანი იყო ხალხთან ურთიერთობა, გაგვეგო მათი პრობლემები და დავხმარებოდით ამ პრობლემების მოგვარებაში. ვფიქრობ, ეს ციფრები ყველაფერს ამბობენ.
- შეხვედრებზე ძირითადად იკვეთებოდა შემდეგი საკითხები: სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსება, სამშენებლო მასალითა და შეშით დაკმაყოფილება, სტუდენტებისთვის არსებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის თანხის გადარიცხვები, სახლების გამაგრება, გადახურვა, ეზოებისა და ქუჩების რეაბილიტაციები
- (სლაიდ 12) პრობლემების გაზიარებისა და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობის კუთხით, რაიონის მოსახლეობას შეეცდა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ბატონი თედო კობახიძე და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი.

- [redacted] ასევე, გვქონდა შეხედრები რაიონის სკოლებისა და ბაღების დირექტორებთან არსებული მდგომარეობის შესწავლის კუთხით. მაგალითად: #5, #26, #36 საჯარო სკოლებს მოსაწყობი ჰქონდათ ეზოს ინფრასტრუქტურა, სადაც სამუშაოები ჩატარდა წარმატებით. ასევე ერთობლივად ვიზრუნეთ აღნიშნული სკოლების გამწვანება-განაშენიანებაზე და ეზოებში დაირგო უამრავი ხის ნერგი.
- რაიონში მდებარე №61-ე ბიბლიოეკას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც მისულ მოქალაქეს მყუდრო და სასიამოვნო გარემო ხვდება.

მეგობრებო, ქვეყანას მძიმედ აწვა ის საკადრო პოლიტიკა, რაც წლების წინ იყო დამკვიდრებული. ნეპოტიზმი - ნათესაური კავშირები და არაკომპეტენტურობა.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ დედაქალაქის მთავრობა სამართლებრივად სწორად მოეკიდა საკადრო საკითხს, გადაწყვეტილებები სწორად და მიზნობრივად იყო მიღებული. გამგეობის თანამშრომლები შერჩეული იქნენ არა პოლიტიკური ნიშნით, როგორც ეს ხდებოდა წინახელისუფლების დროს, არამედ პროფესიონალური უნარჩვევების საფუძველზე.

დეპუტატისა და აღმასრულებელი ხელისუფლების აღნიშნული საქმიანი დამოკიდებულება არის პრობლემების გამოვლენის საფუძველი მათი იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტის საქმეში. ყოველივე ამის გამო მინდა მადლობა გადაუხადო რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ჩიკვილაძეს და რაიონის გამგეობის თანამშრომლებს, ჩვენ ერთად ვახდენთ რაიონში არსებული პრობლემების მოგვარებას

და სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის შედეგები, რაც 9 თვის მაჩვენებლებით გაგვაჩნია, სადაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თითქმის ყველა მაჩვენებელი დადებითია და არსებობს ყველა პირობა, რომ წლიური მაჩვენებელიც შედეგიანი იქნება.

პირადად ჩემთვის, უმთავრესი ამოცანა იყო სწორად დაგვეგეგმა 2015 წლის ბიუჯეტი და შევძელით ის, რომ ბიუჯეტი 6 000 000 ლარით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

<u>გზების მოვლა-შეკეთებაზე</u> რაიონის ბიუჯეტი განისაზღვრა 2 მილიონი ლარით, რაც 141 ათასი ლარით მეტია 2014 წელთან შედარებით. <u>კეთილმოწყობის ღონისძიებებზე</u> გამოყოფილი თანხები გაიზარდა 469 000 ლარით და შეადგენს 1 900 000 ლარს. გამომდინარე რაიონის სპეციფიკიდან (ძველი ამორტიზირებული და ავარიული შენობების სიმრავლე) <u>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის</u> მუხლი გაიზარდა 1 149 000 ლარით და შეადგენს 4 549 000 ლარს, ხოლო <u>დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია</u> გაიზარდა 166.000 ლარით და შეადგენს 648 000 ლარს. მნიშვნელოვანი ზრდა არის ყველა სოციალური დახმარების მუხლში. ცხელი სადილით მომსახურება გაიზარდა 293 000 ლარით და შეადგენს 1 162 000 ლარს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ოთხშაბათობით დეპუტატების ბიუროებში ხალხის სიმრავლეა. ყველამ იცის ჩუღურეთის რაიონში ტურგენევის #5, სადაც ჩვენი მოსახლეობასთან შეხვედრის ადგილია.

საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დეპუტატის ბიუროში შემოვიდა 1100 განცხადება, რომლის 90% დაკმაყოფილებულია, დანარჩენი განხილვაშია და წლის ბოლომდე მოხდება სათანადო რეაგირება. შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა შემდეგი მიმართულებები:

სოციალურად დაუცველთა 150 ოჯახს გამოეყო ერთჯერადი ფულადი დახმარება; მედიკამენტებით დაკმაყოფილდა 146 მოქალაქე;

ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა - 45 ადამიანს, მათ შორის
დაფინანსდა 2 ძვირადღირებული ოპერაცია საქართველოს ფარგლებს
გარეთ 2 500 და 6 000 ევროს ექვივალენტით; სამშენებლო მასალით
დაკმაყოფილდა 185 ოჯახი; 15 ქუჩაზე დაიგო ავტომობილის სიჩქარის
შემზღუდველი ბარიერები; 12 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ქირით;
ჩვენი შუამდგომლობით სამარშუტო ტაქსებსა და ავტობუსებზე
შეიცვალა მარშუტები მოსახლეობის მოთხოვნისამებრ. აღსანიშნავია,
რომ როდესაც სახელმწიფოს მიერ სოციალურად დაუცველ
მოსახლეობაზე დარიგდა სეთ.თოფ ბოქსები, 40 შეჭირვებულ ოჯახს,
რომელიც ამ კატეგორიაში ვერ მოხვდა ჩვენ მოვუგვარეთ არსებული
პრობლემა და მათ უსასყიდლოდ გადავეცით არსებული სეთ.თოფ
ბოქსები.

გარდა სოციალური სფეროსი, მოსახლეობის პრობლემაა
ხანდაზმული კომუნალური გადასახადების დავალიანებები. ჩვენი
შუამდგომლობით ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ, კანონის
ფარგლებში, 176 მოქალაქეს მოუხსნა ასეულობით ლარის ოდენობის
დავალიანება. ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობას უსახსრობის გამო
წლების განმავლობაში არ მიეწოდებოდა ელექტრო ენერგია და
წყალი. რაოდენ ძნელი მოსასმენიც არ უნდა იყოს ჩვენ გვყავდა
ოჯახები, რომლებსაც ელ.ენერგია 9-10 წლის მანძილზე არ
მიეწოდებოდა.

(სულ 16-18) უკიდურესად შეჭირვებულ 6 სოციალურად დაუცველ
ოჯახს, კეთილი ადამიანების დახმარებით გადავეცით ტელევიზორი,
სარეცხი მანქანა, მაცივარი და კომპიუტერები.
ჩიტაიას ქ.#8-ში მცხოვრებ არასრულწლოვან შშმ პირს
ოთარ გუნიავას გადავეცით მაცივარი და ტელევიზორი.
ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ სკოლის
მოსწავლე გიორგი პაპიტაშვილს გადაეცა ლეპტოპი.

(სლ 19-27) რაიონში სისტემატიურად მიმდინრეობს არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების აღდგენითი სამუშაოები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 16 სპორტულ მოედანს და 25 სკვერს.

(სლ 28-38) ჩუღურეთის რაიონში დიდი შრომის შედეგად მოხდა 40 ქუჩის რეაბილიტაცია, სადაც შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და დაიგო ასფალტის საფარი. გამოვყოფთ რაიონში მდებარე რამოდენიმე ცენტრალურ ქუჩას, როგორიცაა: აბაშის, მნათობის, ბუხაიძის, ქვლივიძისა და გორკის ქუჩები, სადაც წლებია არანაირი თანამეროვე ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა.

(სლ 39-40) წელს დაიწყება რაიონში მდებარე ყველაზე დიდი - ჩეჩელაშვილის ქუჩის კაპიტალური შეკეთება, სადა 437 ოჯახი ცხოვრობს და იქ არსებული მდგომარეობა ყოველგვარ შესფასებას აჭარბებს. ვპირდები მოსახლეობას, რომ ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

აქვე მოგახსენებთ, რომ ჩემი ბიუროს თანამშრომლებმა აპრილის თვეში ჩაატარეს ე.წ. ორმოულების აღწერა-მონიტორინგი, რის შედეგადაც გამგეობამ მიიღო ყველა ზომა მათ შესაკეთებლად. ამავდროულად მოხდა რაიონში არსებული თითქმის ყველა სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

(სლ 41-47) 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად ჩუღურეთში დაზიანდა 110 ობიექტი, რისთვისაც ჩვენ გამგეობასთან ერთად შევადგინეთ გეგმა და ქალაქის მერიისგან დამატებით მივიღეთ 1 520 000 ლარი. მიმდინარეობს აღნიშნული ობიექტების შეკეთება, მათ შორის 70% უკვე დასრულებულია. აქვე მინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილო იმაზე, რომ ეს ის 110 ოჯახია ჩუღურეთის რაიონში, რომლებსაც ჩვენ საცხოვრებლები შევუნარჩუნეთ. მინდა დავამატოთ ისიც, რომ ერთ-ერთ ჩუღურეთელ მოქალაქეს მოვარდნილმა ღვარცოფმა გაუნადგურა ავტომობილი, რომელზეც მერია უახლოეს დღეებში მიიიღებს დადებით გადაწყვეტილებას.

ეტაპობრივად მიმდინარეობს მიწისქვეშა კომუნიკაციების
რეაბილიტაცია, რომელიც რამოდენიმე ათეული წელია არ
შეცვლილა. [redacted] ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია
გედევანიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი სამხედრო დასახლება.
ჩვენ ამ მიმართულებით ბევრად კარგი მდგომარეობა გვექნებოდა,
კომპანია "ჯორჯიან უოთერ ფაუერს" რომ უკეთ ემუშავა.

2015 წელს ჩვენი შუამდგომლობით და ბინათმესაკუთრეთა
თანადაფინანსებით გამაგრდა 156 ობიექტი, მათ შორის 46 საერთო
სარგებლობის სახლი, ხოლო 45 სახლზე მზადაა გამაგრების
პროექტი; გადაიხურა 105 შენობა; შეკეთდა 19 სადარბაზოს კარი და
ეზოს ჭიშკარი; 16 საერთო სარგებლობის კიბე; 8 აივანი; ასევე
შეკეთდა 8 ლიფტი; მოხდა 23 სადარბაზოსა და ეზოს თაღის
შეკეთება; წყალსაწრეტი მილები შეიცვალა 15 ობიექტზე; ასევე
თანადაფინსებით 32 ეზოში შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და
დაიგო ასფალტის საფარი. აქვე მოგახსენებთ, რომ მოხდა
ავარიულად მწვავე მდგომარეობაში მყოფი 60 ეზოს სრული
რეაბილიტაცია, რომელიც მთლიანად დაიფარა საბიუჯეტო
სახსრებით. ზემო ჩუღურეთში, ტერასულად განლაგებულ ქუჩებზე -
40 ობიექტზე, მოხდა გრუნტის დამჭერი კედლის ბეტონის
კონსტრუქციით გამაგრება. საჭიროდ მივიჩნევთ ამ მიმართულებით
განვახორციელოთ ქმედებები. ვაყენებ წინადადებას, თბილისის
მერიის წინაშე, რომ მომავალი 2016 წლის ბიუჯეტში აუცილებლად
მოხდეს ცვლილებები იმასთან დაკავშირებით, რომ როცა მოხდება
სახლის გამაგრება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება,
აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს ფასადური მოწესრიგებაც,
რადგანაც შენობის რეაბილიტაცია აუცილებლად უნდა
ითვალისწინებდეს აღნიშნული შენობის სრული აღდგენას, ასეთ
შემთხვევაში გამოირიცხება ერთიდაიგივე ობიექტზე რამდენჯერმე
მიბრუნება.

(სულ-52-62) დღეისთვის რაიონში დაფიქსირებულია სოციალურად დაუცველი ადამიანი (სულ - 2272 ოჯახი) და 41 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ჩვენდა სამწუხაროდ ეს არის ის კონტიგენტი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება და ვფიქრობ, ჩემს რაიონში ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენთ. ამის ნათელი მაგალითია ჩვენს მიერ განხორციელებული ქმედებები და კერძოდ ის, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ვიცით, თუ ვის დავეხმაროთ და ვის მივაქციოთ ყურადღება. ეს ქმედებები გამოიხატება აქციებით, დახმარებებით, სხვადასხვა დღესასწაულებსა თუ ჩვეულებრივ დღეებში. (სულ ჯამში მოვიცავით 75 ოჯახი).

(სულ-63-65) 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, 25 მოზარდი მიწვეული გვყავდა ბავშვთა გასართობ ცენტრში და 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა გასართობ ცენტრებში.

(სულ-66-68) 9 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ჩემი შუამდგომლობით მერიის სამსახურმა ას წელს მიღწეულ სამამულო ომის ვეტერანებს, რომლთაგან ერთ-ერთი იაპონიის ომის მონაწილეა, გადაურიცხა ერთჯერადი დახმარება 1000-1000 ლარის ოდენობით. ჩვენ ჩუღურეთის გამგებელთან ბატონ ზურაბ ჩიკვილაძესთან ერთად პირადად მივულოცეთ მათ იუბილე და ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ - მედლები გადავეცით.

გარდა ბიუროში შემოსული განცხადებებისა და მათზე სათანადო შუამდგომლობებისა, მყისიერად ვრეაგირებთ მოქალაქეთა თხოვნებზე და პირადი კონტაქტების მეშვეობით ვურთიერთობთ მერიისა და გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურებთან, რის საფუძველზეც მოქალაქეებს ვუგვარებთ მათთვის პრობლემურ საკითხებს. შუამდგომლობის გარეშე სულ დაკმაყოფილდა 200-მდე მოქალაქე.

(სლ-69-74) ჩემი შუამდგომლობით რაიონში განთავსდა მემორიალური დაფა, რომელიც ეკუთვნის მწერალ კოლაუ ნადირაძეს; შეიარაღებული ძალების კაპრალ-ზურაბ გვენეტაძესა და აფხაზეთის ომში გმირულად დაცემულ ზაქარია ვეშაპურს. ამ ეტაპისთვის მზადდება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტი, რომელიც განთავსდება მისივე სახელობის ქუჩაზე არსებულ სკვერში.

(სლ-75-83) რაიონში არის 23 კომპაქტურად ჩასასხლებული ობიექტი, 2894 დევნილი (919 ოჯახი) რომელთა ძირითად პრობლემას წარმოადგეს საცხოვრებელი ფართების დაკანონება, გადახურვა, გაზიფიცირება და ასე შემდეგ.. ჩვენი შუამდგომლობით აჭარის ქ.№10–ში დევნილებს დაუკანონდათ და საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ფართები. ეზოში გამოიცვალა წყალ-კანალიზაციის სისტემა და განთავსდა გარე განათების 12 ბოძი. წინამძღვრიშვილის №121-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე გამოიცვალა სახურავი, ჯავახიშვილის №118-ში დაკანონდა ბინები და მოხდა გაზიფიცირება; პ.სააკაძის №19–ში კაპიტალურად შეკეთდა სახურავი.

(სლ-84-85-86) ვაგზლის მოედანზე მდებარე ყოფილ სასტუმრო "კოლხეთში" ჩასახლებულია დევნილთა 120 ოჯახი, სადაც ცხოვრება გაუსაძლისია.

მათ, ჩემი უშუალო თხოვნით შეხვდა დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი და მისცა პირობა, რომ უახლოეს თვეებში მოხდება ავარიული კორპუსიდან მათი განსახლება და ბინების გადაცემა. არ ვიშურებთ ძალისხმევას, რომ მათი საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდეს. მძიმე მდგომარეობა რჩება ჩუბინაშვილის ქ. №52–ში; ჩიტაიას ქ.№-39–ში; ნინოშვილის ქ.№57–ში, ცაიშის ქ. №36-ში, კონსტიტუციის ქ. №6-ში, ხუდადოვის ქ. №173-ში, მარუაშვილის ქ. №50-ში, რის გამოც ვერ ხერხდება მათთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონება და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

მძიმე მდგომარეობაა პ. სააკაძის#19-ში, სადაც მოსახლეობას მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. გამგეობასთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ 2016 წლის ბოლოს მოხდეს ამ შენობის გამაგრება-რეაბილიტაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში შევხვდებით ბატონ სოზარ სუბარს.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროში არაერთგზის დავაყენეთ საკითხი, პრობლემად რჩება მის ბალანსზე არსებული სახლების დაკანონება რეხისა და ხუდადოვის ქუჩებზე. ამ დღეებში შეხვედრა მქონდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილთან, ის ამ კუთხით თანადგომას და დახმარებას შემპირდა.

ჩვენს ბიუროში მოქალაქეებს უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევს ქალბატონი მარინა ბაქრაძე, რომელმაც დღეის მდგომარეობით 300-მდე მოქალაქეს აღმოუჩინა სათანადო დახმარება. მოგახსენებთ ერთ მაგალითს: ლამარა იზმაილოვას ზედამხედველობის სამსახურის მიერ უკანონოდ დაკისრებული ჰქონდა 8 000 ლარიანი ჯარიმა, რომელიც ჩვენი შუამდგომლობითა და კანონის დაცვით იქნა მოხსნილი.

(სტ.87792) სკოლამდელი აღზრდის საკითხი უდავოდ მნიშვნელოვანია ბავშვის- როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენს სოციალურად შეჭირვებულ საზოგადოებაში ბაგა-ბაღები წარმოადგენს მოქალაქეთა ნაწილისთვის ბავშვების სწორი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების გარანტიას. ამდენად ბაგა- ბაღები, მათი რაოდენობა, კომფორტი, ბავშვთა კვება, აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენი მუდმივი ყურადღების ქვეშ არის. ჩუღურეთის რაიონში არსებულ 11 ბაგა-ბაღში, სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩავატარეთ მონიტორინგი, სადაც გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები. ჩვენ მივმართეთ მერიის შესაბამის სამსახურებს, რომ 2016 წლისათვის გაითვალისწინონ არსებული ხარვეზები და მოხდეს აღნიშნული

ბაღების რეაბილიტაცია. ჯერ კიდევ გასულ წელს მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი დავპირდი მოსახლეობას, რომ 2015 წელს ჩუღურეთში გაიხსნებოდა ახალი საბავშვო ბაღი, დაპირება შევასრულე და 2 ნოემბერს კიევის ქუჩაზე განახლებული საბავშვო ბაღი გაიხსნება. ასევე რეაბილიტაცია უტარდება წინამძღვრიშვილის №100-ში მდებარე საბავშვო ბაღს, რომელიც უახლოეს მომავალში გაიხსნება. სამუშაოები მიმდინარეობს ჩიტაიას ქ. №6-ში, სადაც ახალი, თანამედროვე სტანდარტების ტიპის 350 ბავშვზე გათვილილი ბაღი აშენდება, ხოლო ზემო ჩუღურეთში, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სადაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს არსებული შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, ამიტომაც პრინციპულად ვაყენებთ საკითხს დამატებით, ახალი საბავშვი ბაღის აშენებსთან დაკავშირებით, რისთვისაც ტერიტორია უკვე მოვიძიეთ და საკითხი დავაყენეთ მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე.

(სლ-93-96) როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი წინა ხელისუფლების დროს შეგნებულად დაიხურა მე-3 საჯარო სკოლა და 600 მოსწავლე 10 კილომეტრის რადიუსში გადანაწილდა. დედაქალაქის ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დღიდან განხორციელდა საქმიანი კომუნიკაცია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურასთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედიოდა საკითხის შესწავლა თუ გადაწყვეტილების მიღება. არაერთხელ ვიყავი განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ქალბატონ თამარ სანიკიძესთან. ჩვენი ძალისხმევის შედეგად, იმის გთვალისწინებით, რომ ყველა საექსპერტო დასკვნის საფუძველზე სკოლის შენობა აღდგენას არ ექვემდებარება, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 2015 წელს განხორციელდება სკოლის დემონტაჟი და მის ადგილზე აშენდება ახალი თანამედროვე სტანდარტების სკოლა, პირველად ჩუღურეთის რაიონში და მე თქვენ დღეს საჯაროდ ეს მინდა მოგილოცოთ.

მეგობრებო, თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ სოციალური სტატუსი ოჯახებისთვის გახდა აუცილებელი ფაქტორი. კანონში მოხდა ცვლილებები. რიგ მომენტებში კი ამ ცვლილებებმა გამოიწვია სერიოზული ხარვეზები,აქედან გამომდინარე სტატუსი შეუჩერდა 150-მდე ბენეფიციარს. ამ საკითხების მოგვარების მიზნით შევხვდი ჯანდაცვის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელს ბატონ ზაზა სოფრომაძეს და ამ სამუშაო შეხვედრის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ გადაიხედება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი. ინვენტარი რომელიც ადრე მიიჩნეოდა ფუფუნების საგნად, ვგულისხმობ საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა ნივთებს აღარ იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი. [redacted]

ჩვენ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისინი ეხმარებიან როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. წინასაარჩევნოდ ჩემი დაპირება იყო ის, რომ ამ კატეგორიის მოსახლეობას დავეხმარებოდი მათი პრობლემების მოგვარებაში, რაშიც ხელი შემიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობამ და ერთობლივმა მუშაობამ.

(სლ-97-104) ამ ორგანიზაციების დახმარებით წელს 10 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს გადავეცით ეტლი, ასევე დავეხმარეთ ხელჯოხებითა და სხვადასხვა ინვენტარით. (სლ-105-108) 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხეთაგუროვის ქუჩაზე მდებარე საოჯახო მედიცინის ცენტრმა 200 ბავშვს ჩაუტარა

უფასო სამედიცინო გამოკვლევა. ჩვენი რაიონისთვის ეს უცხო თემა არ არის. თითოეული თქვენთაგანი დამემოწმება, რომ ჩვენ ვატარებთ უფასო სამედიცინო გამოკვლევებს სხვადასხვა მიმართულებით და მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი სათათბიროს წევრს, ჯანდაცვის მიმართულებით, ქალბატონ ქეთევან ბარათელს, რომელიც ძალასა და ენერგიას არ იშურებს იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს გავუუმჯობესოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

(სმ-109-116) აღსანიშნავია ფრაქციის მუშაობა „ცხელი სადილის" პროგრამის შემუშავებაში, ჩვენ უფასო სასადილოების სისტემატიურ მონიტორინგს ვატარებთ და რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა „ცხელი სადილით" მოსარგებლე ბენეფიციართა კვების რაციონი და სანიტარული მდგომარეობა, მატერიალურ-ტექნიკური გაზები, გადავედით საბარათე სისტემაზე, სადაც მოწესრიგდა აღრიცხვიანობა, შეიცვალა საკვების კალორიულობა. ვფიქრობ, ჩვენი მოდგომა ამ კუთხით მეტად აქტუალურია და შევძელით ამ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონში არის გახსნილი 5 უფასო სასადილო, მაინც გვყავს ისეთი მოქალაქეები რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონენი და მათ ნამდვილად ესაჭიროებათ ჩვენი დახმარება და თანადგომა. ამიტომაც გადავწყვიტე გამეფორმებინა მემორანდუმი შპს. "ნილი"-სთან, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია ყოველდღიურად უსასყიდლოდ გვაწვდის 50 პურს, რითაც ვეხმარებით ეკონომიურად შეჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ოჯახებს. აგრეთვე გაფორმებული გვაქვს მემორანდუმი საქველმოქმედო ფონდთან "მომავლის გზა", რომელთა მიერ შემოწირული მედიკამენტებითაც ვეხმარებით მოქალაქეებს. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გავმართეთ საქველმოქმედო ღონისძიება, რაც ითვალისწინებდა ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახების დახმარებას, გადავეცით მათ პროდუქტები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები, ხოლო 1

წლამდე ასაკის 100-მდე ახალშობილს ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ გადმოცემული სხვადასხვა საჭირო ნივთები.

წინ ბევრი მძიმე და სერიოზული გამოწვევები გველოდება. ამიტომ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენივე ჩართულობით გამგეობასთან ერთად ჩავატარეთ მონიტორინგი და განვსაზღვრეთ ის პრიორიტეტები რაც უნდა იქნას გათვალისწინებული 2016 წლის ბიუჯეტში.

(სლ-117) ჩემი უმთავრესი ამოცანაა ჩუღურეთის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ინვესტორების მოძიება, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

(სლ-118-120) ჩვენი და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ინიციატივით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ახვლედიანის ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიის განვითარების კონცეფციის საჯარო განხილვა, სადაც შემოსულია ინვესტორი და შეთანხმების შემტხვევაში განახორციელებს 20 000 000 პროექტს , რის შედეგადაც ამ უბანში მოწესრიგდება ინფრასტრუქტურული მდგომარეობა.

დეპუტატის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ხვალინდელი, უკეთესი მდგომარეობის შექმნისაკენ, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება. ამ კუთხით, როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ და ორი კომისიის წევრმა გენერაცია და ორგანიზება გავუკეთე შემდეგ საკითხებს:

1)ქვეყანაშ არსებული პრობლემებისა და ხვალინდელი დღის უკეთ წარმართვის მიზნით, შეხვედრები მქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძესთან, საპარლამენტო ფრაქცია ფრაქციის თავმჯდომარე გია ვოლსკისთან,სდაც ვიხილავდით არაერთ

პრობლემას. სისტემატურად ვარ კომუნიკაციაში ქალაქის მერთან დავით ნარმანიასთან და ქალაქის მთავრობასთან.

2) ჩვენი ინიციატივით პირველად მოხდა მერიის საქალაქო სამსახურებისა და გამგეობების ყოველკვარტალური ანგარიშების მოსმენა, რომლებზეც განხორციელდა მათი საქმიანობის ანალიზი და შეფასება. გამოვლინდა ხარვეზები, შემუშავდა რეკომენდაციები, ასევე მუდმივი მონიტორინგი უტარდება მათ განხორციელებას. მოსმენილ იქნა: კეთილმოწყობის, ტრანსპორტის, ზედამხედველობის, არქიტექტურის საქალაქო სამსახურები, თბილისის განვითარების ფონდი, ბაღების გაერთიანება და ათივე რაიონის გამგეობები. ფრაქციაზე მოსმენების შედეგად დეპუტატთა კორპუსის მიერ სამსახურების საქმიანობის შეფასებისა და რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე ხორციელდება აღნიშნული სამსახურების საქმიანობის კორექცია და იგი პასუხობს ამომრჩევლების და დედაქალაქის საჭიროების ინტერესებს.

3) დედაქალაქის მერიის, თბილისის განვითარების ფონდის და ჩვენი შეჯერებული პოზიციის საფუძველზე - ფონდის ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად შემუშავდა ახალი მიდგომები, რომელიც უზრუნველყოფს ერთეული ობიექტების რეაბილიტაციის ნაცვლად ერთიანი, ჩამოყალიბებული სეგმენტების რეაბილიტაციას (როგორიცაა აღმაშენებლის პროსპექტის სრული რეაბილიტაცია, გუდიაშვილის ქუჩა, ,,ფკაომი".) ასეთი მიდგომის შედეგად რეაბილიტირებული ობიექტები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღარ საჭიროებენ დამატებით ჩარევას და მისი განხორციელების შემდეგ მოხდება აღმაშენებლის პროსპექტის ფიროსმანის, კონსტიტუციის ქუჩების პრობლემების მიმართ თვისობრივად ახალი მიდგომა.

4) [redacted] 2015 წლის 4 ივნისს ფრაქციასთან ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის " ჩემი ინიციატივით შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა

მარგარიტა ხიდირბეგიშვილი. თქვენ მოგეხსნებათ, რომ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, ეს ადამიანები, ხელისუფლებას მხოლოდ წინასაარჩევნოდ, ხმების მოსაპოვებლად სჭირდებოდათ. ჩვენი მიდგომა კი სხვაგვარია- მოვუსმინოთ მათ, გავეცნოთ და გავითვალისწინოთ მათი პრობლემები და საკითხების გადაწყვეტაში აქტიურად ჩავრთოთ ისინი.

ჩვენი ინიციატივით საბჭოს პირველ სხდომაზე განხილული იქნა ის ძირითადი საკითხები, რომელიც აწუხებს ეროვნულ უმცირესობებს, მათ შორის „მეგობრობის სახლის" გახსნის საკითხი, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ითხოვდნენ ყველა ინსტანციაში.

(სლ.-124-125) 2015 წლის აგვისტოში ბაკურიანში შეიქმნა ტოლერანტობის ბანაკი, რომელიც დაკომპლექტდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებით. ჩემი უშუალო ჩარევით და მერიის დახმარებით, გამოყოფილი იქნა ავტობუსები, რომელმაც უზრუნველყო მათი გადაადგილება.

ვცდილობ სისტემატიურად დავესწრო ეროვნული უმცირესობების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. (სლ.-126-127)

საბჭოს დღის წესრიგში დგას ტოლერატობის დღის აღნიშვნა, რომელიც გაიმართება ამა წლის 16 ნოემბერს. პირველად საკრებულოში, საბჭო მუშაობს აღმიშნული შეხვედრის სცენარზე და საორგანიზაციო საკითხებზე.

ჩვენ აგრეთვე დავიწყეთ შეხვედრები ყველა დიასპორასთან. 22 ოქტომბერს საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად შევხვდით იეზიდთა და ქურთთა დიასპორის წარმომადგენლებს, ვეწვიეთ სალოცავს და მათ მიერ დაარსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში გამართულ ღონისძიებებს დავესწარით.(სლ.-128-129)

მონაწილება მივიღეთ გრიბოედოვის თეატრის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. (სტ.130)

4) (სტ.131-138) როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ხშირად ვესწრები რაიონში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს, სამხატვრო გამოფენებს, პოეზიის საღამოებსა და სპორტულ ღონისძიებებს. გასული წლის თებერვლის თვეში ჩემი ინიციატივით 23-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება ,,არა ძალადობას-ძალადობა დანაშაულია". შევიმუშავეთ მთელი რიგი ღონისძიებები ამ მიმართულებით, პრობლემების მოგვარების მიზნით.

5) (სტ.134-135) 2015 წლის 31 ოქტომბერს, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კოალიცია „ქართული ოცნების" ქალ დეპუტატთა ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ძალადობის, მათ შორის ოჯახური ძალადობის პრობლემებზე. მე როგორც, ჩუღურეთის მაჟორიტარ დეპუტატს მსურს მოკლედ მიმოვიხილო რაიონში არსებული მდგომარეობა და შევეხო იმ მეტად სენსიტიურ თემას, რაც ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მასთან ბრძოლას უკავშირდება. ჩუღურეთის რაიონში მეტად მძიმე სოციალური ფონია, ეს რათქმაუნდა პროვოცირებას მატებს რაიონში გენდერული უთანასწორობის პრობლემას. ქ.თბილისის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გამოვედი ინიციატივით, რომ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ჩემს რაიონში შევქმენი ,,ქალთა ჯგუფი", რომელთა შემადგენლობაში შედიან რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა სფეროში მომუშავე ქალბატონები. ხშირად ვმართავ მათთან შეხვედრებს, კარგად ვიცნობ მათ პრობლემებს და ერთად განვიხილავთ გენდერული პრობლემების გადაჭრის გზებს.

დასასრულს მინდა ვისაუბრო იმ გეგმებზე, რომელიც ჩემი, როგორც დეპუტატის უმთავრესი ამოცანაა და რომლის განხორციელებასაც დავპირდი ჩემს ჩუღურეთელებს. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს საზღვრებს გარეთ სულ 385 ჩუღურეთელი ქალბატონია და შვილებს მამები და ბებიები ზრდიან. ჩემი სურვილია უახლოეს მომავალში დედები დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს და სამშობლოში განაგრძონ მოღვაწეობა. ასევე ჩემი ამოცანაა არ მყავდეს არც ერთი სტატუს შეჩერებული სტუდენტი, რომელთაც უსახსრობის გამო არა აქვს საშუალება გადაიხადოს სწავლის საფასური (სულ რაიონში ასეთი 11 სტუდენტია). მინდა დავეხმარო ახალგაზრდებს, ხელი შეუწყო მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ამ მიზნით 16 ახალგაზრდა გაიგზავნა სხვადასხვა სამინისტროში სტაჟირებაზე, რის შემდგომაც მათგან ოთხმა წარჩინებულმა განაგრძო მუშაობა აღნიშნულ სამინისტროებში. ჩემი მიზანია მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე ადამიანები მაქსიმალურად იყვნენ დასაქმებულები სხვადასხვა სფეროში, სადაც მოახდენენ თავიანთი ცოდნის რეალიზებას და ხელს შეუწყობენ ქვეყნის აღმშენებლობას. ჩემი რეკომენდაციით, სხვადასხვა სფეროში სულ 316-მდე ადამიანის დასაქმება შევძელი, რომლებიც დღეს ამ დარბაზში სხედან და ვფიქრობ კეთილსინდისიერად გაართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

კვლავ მძიმე პრობლემად რჩება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ფიროსმანის ქუჩა და კვლავ ფიროსმანი... იქ არსებული მუზეუმი, 14 წლის წინ მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლები და ქირით გაყვანილი მოსახლეობა. ვგეგმავთ ქუჩის აღდგენა-რეაბილიტაციას და უახლოეს მომავალში აქ მოხდება მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება. [illegible] მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქ.თბილისის ვიცე მერს ლაშა აბაშიძეს, თბილისის განვითარების ფონდს, იმ გადაწყვეტილებებისათვის, იმისთვის , რომ გაითავისეს არსებული ვითარება და უახლოეს პერიოდში დაიწყება

აღმაშენებლის ქუჩის შეწყვეტილი რეაბილიტაცია. (სდ-140-143) აქ აღდგება 45 საცხოვრებელი სახლი და ეს არ იქნება ფასადური.ხოლო, აღმაშენებლის 34-36- ში (სდ-144-149) უახლოეს დღეებში დაიწყება რეაბილიტაცია, რომელიც არის მართლაც უნიკალური კულტურული ძეგლი. ეს ცვენი წინასააჩევნო დაპირების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

ვმუშაობთ წმ. ნიკოლოზის ქ. №14-ში საცხოვრებელი ბინის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით ინვესტორის მოძიებაზე.

ჩემო მეგობრებო! ეს არის სულ რისი გაკეთებაც შევძელით ამ 1 წლის განმავლობაში. ეს, იმ ბევრი უძილო ღამეების შედეგია, რაც მე და თქვენ ერთად დგომით მოვახერხეთ.

რათქმაუნდა მეტიც შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ რა ვითარება დაგვხვდა და რა ვითარებაში გვიწევს მუშაობა. გულწრფელად გეუბნებით, ერთი წუთიც კი არ გამომიყენებია სხვა მიზნებისთვის, ძალასა და ენერგიას არ ვიშურებდი პრობლემების მოსაგვარებლად. კიდევ ერთხელ ვამბობ, იმ ვითარებაში , რომელიც დაგვხვდა, ამ შეცდომების გამოსწორებას მოუნდა გარკვეული დრო და ამ დროში ჩვენ ეს შევძელით, თუმცაღა, არიან ალბათ განაწყენებულებიც. როცა ადამიანი მოდის და მეუბნება იპოთეკით დაკარგული სახლის დაბრუნებას და ვერ ვეხმარები. მოდის მოქალაქე და მეუბნება, რომ „თბილისელი ლტოლვილი“ და არ აქვს თავშესაფარი და ვერ ვეხმარები. არის დაგროვილი უამრავი პრობლემა, რომელიც ჩვენ დაგვხვდა და მათი მოგვარება ჩემს კომპეტენციას სცდება , მიუხედავად ახსნისა,მაინც გულნატკენები მიდიან ჩემგან და ხშირად გამიგია ,,მე ხმა ოცნებას მივეცი“.. მინდა ასეთ ადამიანებს ბოდიში მოვუხადო, მაგრამ აქვე დავპირდე, რომ ჩვენ ვმუშაობთ ყველა მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

ვიტოვებ იმედს, რომ 2016 წელი მეტის გაკეთების საშუალებას მომცემს. მაქვს თქვენი თანადგომის იმედი, მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინ მძიმე, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გველოდება. ბატონო მალზახ და ბატონო ნუგზარ, თქვენი დამსახურებაა, რომ არჩევნების დროს ჩვენი გუნდი ყოველთვის მაღალი შედეგებით გამოირჩეოდა და მჯერა, რომ თქვენი მხარში დგომით შედეგი კვლავაც საუკეთესო გვექნება.

ფრაქციის შესახებ

მე-5 მოწვევის საკრებულოში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ფუნქციონირება 2014 წლის 7 აგვისტოდან დაიწყო.

ფრაქცია „ ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსთვის" შედგება 19 წევრისგან, აქედან

ფრაქციის შემადგენლობაში შედის - 19 დეპუტატი, მათგან:

მაჟორიტარი დეპუტატი - 12

პროპორციული სიით - 7

კომისიის თავმჯდომარე - 7

თანამდებობის პირი - 10

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით. სწორედ ახალი მოწვევის მიერ იქნა დანერგილი მოსახლეობასთან ყოველკვირეული შეხვედრები. თორმეტივე

დეპუტატი ყოველ ოთხშაბათს ხვდება საკუთარი რაიონის მცხოვრებლებს ისმენს მათ პრობლემებს და საკუთარი კომპეტეციის ფარგლებში ცდილობს დაეხმაროს თითოეულ მათგანს.

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;

დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;

მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

როგორც ფრაქციის თავმჯომარემ საკრებულოში 570 მოქალაქე მივიღე და 774 წერილზე მოვახდინე რეაგირება.

2015 წელს 9 თვის განმავლობაში ფრაქციამ 16 სხდომა ჩაატარა, რომელზეც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები;

#-1

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ 2014 წლის ანგარიში და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ.

#2

1. სოციალურად დაუცველი სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწავლის გადასახადის შესაძლო დაფინანსების შესახებ ქ.თბილისის მერიის ბიუჯეტიდან.
2. უფასო სასადილოებში ბენეფიციარების კვების რაციონის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

#-3

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-5

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-6

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის (სექტემბერ-თებერვალი) 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-7

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2015 წლის 6 თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-8

1. ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2015 წლის 6 თვის (სექტემბერი - თებერვალი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-9

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ნაძალადევის, გლდანის, კრწანისის და ისნის რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

#-10

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა სამგორის, საბურთალოს, მთაწმინდის და ვაკის რაიონების I კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

#-11

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებლის 2015 წლის I - კვარტალში ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ჩუღურეთის, დიდუბის, რაიონების I კვარტალში, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

#-12

1. ერთაშორისი ურთიერთობების შესახებ.
   მომხსენებელი - გიორგი ალიბეგაშვილი
2. თბილისში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების პრობლემების და სამომავლო გეგმების დასახვის შესახებ.
3. სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობის საბჭოს მუშაობის შესახებ.
4. დისკუსია ეროვნული უმცირესობების პრობლემებთან დაკავშირებით .

#-13

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის შესახებ.

#-14

- სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი;

- ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის შემდეგ სოციალურად დაუცველთათვის „სეთ-თოფ ბოქსების“ გადაცემის წესი.

#-15

ქ. თბილისის განვითარების ფონდის შესახებ

#-16

2015 წლის ბიუჯეტი, გამომდინარე იმ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, რომელიც დაგხვდა, არის სოციალურად ორიენტირებული. აღსანიშნავია, ფრაქციის წვლილი 2015 წლის ბიუჯეტის კორექტირებაში. ბიუჯეტის პრიორიტეტებში მაქსიმალურად აისახა ყველა ის დაპირება, რაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს დედაქალაქის მოსახლეობამ ჩვენგან მიიღო.

- ბიუჯეტის პროექტში მოხდა ჩვენი რეკომენდაციებით თანხების გათვალისწინება ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებისთვის ქალაქის გენერალური გეგმის შესამუშავებლად.
- ჩვენივე წინადადებით გაიზრდება კეთილმოწყობის ხარჯები და ეს თანხები მოხმარდება იმ უბნებისა და რაიონების წყალკანანიზაციის სისტემების გაყვანა-რეაბილიტაციას,(სულ 3მლნ 200 ათასი ლარი) იქ სადაც ამ კუთხით გადაუდებელი საჭიროებაა. (ამ საჭიროებების ჩამონათვალი მაჟორიტარი დეპუტატების მიერ იქნა წარმოდგენილი) ასევე იზრდება ავარიული შენობების გამაგრებისათვის გამოყოფილი თანხები.
- ჩვენი რეკომენდაციით გაიზრდება (იყო50% ხდება100 %) სოცილაურად დაუცველ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სტუდენტთა დაფინანსება.
- გამოიყო თანხები განათლებისა და კულტურის დარგში თბილისის საბავშვო ბაღებში პილოტური პროგრამით აღმზრდელთა და აღმზრდელის თანაშემწეთა ორცვლიანის მუშაობის ეტაპობრივად დანერგვისათვის. ხელი შეეწყობა კულტურულ- არქეოლოგიურ კვლევებს, რაც მნიშვნელოვანია თბილისის, როგორც ტურისტული ქალაქის პოტენციალის გაზრდის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობისათვის.

ფრაქციის ინიციატივით უკვე ტრადიციად იქცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და დედაქალაქის გამგეობების კვარტალური ანგარიშის მოსმენა.

ამ მიზნით, 2015 წლის 9 თვის განმავლობაში, ფრაქციამ ორჯერ მოისმინა საქალაქო სამსახურებისა და გამგეობების გაწეული მუშობის შესახებ ანგარიში. რამაც საშუალება მოგვცა მიგვეღო ამომწურავი ინფორმაცია შესრულებულ სამუშაობზე.

მოსმენილი იქნა შემდეგი საქალაქო სამსახურები:

- არქიტექტურის საქალაქო სამსახური;
- ზედამხედველობის საქალაქო სამსახური;
- კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;
- ტრანსპორტის საქალაქო სამსახური;
- ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური;
- შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური;
- ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ბაგა-ბაღების სააგენტო;
- თბილისის განვითარების ფონდი

ფრაქციის აპარატის ძალებით განხორციელდა არსებული მდგომარეობისა და საქმიანობის მონიტორინგი, რის საფუძველზეც გამოიკვეთა მერიის სხვადასხვა სამსახურების ხარვეზები და მათ გადაეცათ შესაბამისი რეკომენდაციები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ასევე ფრაქცია ამზადებს მერიის საქალაქო სამსახურების და გამგეობების ანგარიშების საფუძვლიან ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დარგის სპეციალისტებთან აწარმოებს კონსულტაციებს.

ჩემი ინიციატივით ფრაქციის სამდივნომ შეიმუშავა საინფორმაციო ცნობარი, რომელიც შესრულებულ სამუშაოების შესახებ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას. სისტემატურად მიმდინარეობს ცნობარის განახლება.

აღსანიშნავია ფრაქციის მუშაობა „ცხელი სადილის" (უფასო სასადილოები) პროგრამის შემუშავებაში, ჩვენი რეკომენდაციით გაუმჯობესდა „ცხელი სადილის" მოსარგებლე ბენეფიციართა კვების რაციონი და სანიტარული მდგომრეობა.
ჯანდაცვის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან სამუშაო შეხვედრების შედეგად კი მივაღწიეთ იმას, რომ გადაიხედება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი, რაც გულისხმობს იმას რომ გადაიხედება შეფასების

კრიტერიუმები. ინვენტარი რომელიც ადრე მიიჩნეოდა ფუფუნების საგნად, ვგულისხმობ საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა ნივთებს აღარ იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ინიციატივით, 2015 წლის 4 ივნისს, გაიმართა შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს წევრებთან, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეიქმნას საკრებულოს ფრაქციასთან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" არსებული ეროვნულ უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანსაც წარმოადგენს თბილისში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, რომლებიც დედაქალაქის ამომრჩეველთა დაახლოებით 15 %-ს შეადგენენ, პრობლემების და საჭიროებების გაცნობა-გადაჭრა და თანამშრომლობის ერთობლივი გზების დასახვა.

ფრაქციის ორგანიზებით, ეროვნულ უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭო ქალაქ თბილისის მერს, დავით ნარმანიას შეხვდა, სადაც განხილულ იქნა დიასპორების მიერ წარმოდგენილი ის საკითხები, რომელთა გადაჭრაც მერიის კომპეტენციაში შედის. ჩვენდა სასიხარულოდ რიგი საკითხებისა, რომელიც საბჭომ წარმოადგინა უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი მაგ. იეზიდტთა პოეტების მემორიალური დაფის გხსნა, ბაკურიანში გახსნილ ტოლერანტობის ბანაკის დახმარება ტრასპორტით, დაკმაყოფილდა შუამდგომლობა გ. შახნაზარის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭებაზე, ასევე დაკმაყოფილდა საბჭოს მიერ დაყენებული საკითხი სახელდების კომისიაში, კერძოდ გერმანული და ებრაული თემის მოთხოვნა ბ. პატარკაციშვილისა და ლეოპოლდ ბილფედის სახელების უკვდავსაყოფად თბილისში ავლაბარსა და ვაკეში ქუჩებს მიენიჭათ მათი სახელები.

ფრაქციის ინიციატივით გასულ წელს 16 დღიანო მარათონის ფარგლებში, რომელიც დასრულდა მუნიცილალიტეტის საკრებულოში შეხვედრით არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, შეხვედრაზე გახილული იყო, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმართველობის როლი ოჯახური ძალადობის პრევენციის და მასთან ბრძოლის კუთხით.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ფრაქცია აქტიურად თანამშრომლობს მედია საშუალებებთან, ჩვენ ყოველთვის ვიჩენთ მზაობას, ჩავერთოთ დებატებში, რათა მოსახლეობას მივაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებსა და ჩვენს მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ვიყენებთ ყველა მედია საშუალუალებას, რათა გავცეთ პასუხი ნებისმიერ შეკითხვას.

და ზოლოს ორიოდე.

მერიის და საკრებულოს შორის კორდინირებული მუშაობისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, მნიშვნელოვანი საკითხების ეფექტიანად გადაჭრის მიზნით შეიქმნა მუნიციპალური საბჭო, რომელიც თვეში ორჯერ იკრიბება და განიხილავს კონკრეტულ გამოწვევების და საკითხების გადაჭრის გზებს, რაც დედაქალაქს და მოსახლეობას აწუხებს.

საკრებულოს წევრი ს. [signature] რ. ბერაძე